

მსოფლიო სავალუტო სისტემის ევოლუციის ეტაპები და ბანკოთმშენებლის ტენდენციები

ფული - კაცობრობის ერთ-ერთი უგენიალურესი გამოგონებაა. ისინი ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე მომხიბლავ ასპექტს შეადგენენ. ფული განიხილება როგორც ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობი ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. თუ მომქმედი ფულადი სისტემა კარგად და დალაგებულად მუშაობს, მაშინ იგი სასიცოცხლო ძალას მატებს წარმოების პროცესის ყველა სტადიებში, შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვაში, ხელს უწყობს არსებული საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების სრულად გამოყენებას. ფული - უნივერსალური საქონელის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც საყოველთაო ეკვივალენტის სახით გამოიყენება და რომლის მეშვეობით ყველა დანარჩენი საქონელის ღირებულება გამოიხატება.

ფული თავისთავად უნივერსალურ საქონელს წარმოადგენს, რომელიც გაცვლის, გადახდის, ღირებულების საზომის სიმდიდრის დაგროვების, მსოფლიო ფულის საშუალების ფუნქციებს ასრულებს. ფული - ეკონომიკური კატეგორიაა, რომელშიც ვლინდება და რომლის მეშვეობით ადამიანებს შორის ურთიერთობები აიგება. ფულის დანიშნულება საბაზრო ურთიერთობების ტრანსაქციული დანახარჯების ეკონომიაში მდგომარეობს.

გლობალიზაციის პირობებში **მსოფლიო ფულის** ფუნქციონირება საერთაშორისო ბაზარზე განსაკუთრებულ სპეციფიკას იძენს და ჩვენი მოსაზრებით იგი მსოფლიო დონეზე აღიარებული, რეალური ღირებულების უნივერსალური ეკვივალენტის გადაცემის გზით წარმოქმნილი სავაჭრო რეზერვების არა მარტო საბოლოოდ და უპირობოდ დარეგულირებისათვის, არამედ მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით კაპიტალის დაგროვების, ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესების მომსახურებისათვისაც იქნება მოწოდებული.

მსოფლიო ფული - არის მსოფლიო ბაზარზე საერთაშორისოდ აღიარებული და ქვეყნების ურთიერთ სავადახლო ვალდებულებების მთლიანად დასაფარავად, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კაპიტალის ტრანსსახელმძღვრო მოძრაობის მომსახურებისათვის გამოყენებადი სავადახლო საშუალებები.

საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებ-

**ბიორბი ცაავა -
სტუ-ს სრული პროფესორი
ლილი კოლუაშვილი - საქართველოს
უნივერსიტეტის მაგისტრანტი
ქეთი შონია - აკაკი წერეთლის
სახელწმიფო უნივერსიტეტის
მოწვეული სპეციალისტი**

ის ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპებზე მსოფლიო ფულის როლზე სხვადასხვა საგასახადო საშუალებები გამოიყენებოდა. **ოქროს სტანდარტის** ეპოქაში ქვეყნებს შორის მათი სავადახლო ბალანსის მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორებები ავტომატურად - ერთი ქვეყნიდან მეორეში ოქროს სპონტანურად გადადინების მეშვეობით ხორციელდებოდა. **ოქროდები-ზური** სტანდარტის პირობებში მსოფლიო ფულის როლში სარეზერვო ვალუტები გამოიყენებოდა, და საბოლოო ქვეყანათაშორისი ანგარიშსწორებები უკვე ოფიციალური ხელისუფლებების პერეოგატივა გახდა. **იამაიკის შეთანხმების** პერიოდში საერთაშორისო სავადახლო საშუალების როლი მსოფლიო ფულის ზოგიერთი ფუნქციის შემსრულებელ ე. წ. თავისუფლად გამოყენებად ვალუტებზე გადავიდა.

პოლიტიკონომიკური თვალსაზრისით საერთაშორისო ბრუნვაში ეროვნული ვალუტების ფუნქციონირება რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოშობს. უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ფულის ბრუნვის რეალური მოთხოვნილებები არ არიან ცნობილი, და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია განისაზღვროს სარეზერვო ვალუტების ემისიის რა მოცულობა შეესაბამება ფულადი მიმოქცევის კანონს, ხოლო რომელი - აჭარბებს მას. ასე, მაგალითად, დოლარს დაახლოებით 50 წელი დასჭირდა, რომ საერთაშორისო ბაზარზე სარეზერვო ვალუტის სახით გასულიყო. მეორეს მხრივ, მსოფლიო ფულის შემცველებების როლის შემსრულებლებელი ეროვნული ვალუტებისათვის იგივე საშიშროებებია დამახასიათებელი, რაც ნებისმიერი ქალაქის ფულისათვის არის ნიშანდობლივი - ინფლაცია. მაგრამ საერთაშორისო სტატუსის ძალისხმევით, მათი გაუფასურების შედეგები უკვე მთლიანად

მსოფლიოზე ვრცელდება. მესამე, თუმცა ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტის საერთაშორისოდ გარდაქმნის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს შორის თანაფარდობა შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მას ქვეყანათაშორისი დაპირისპირებების კიდევ უფრო მეტად გამწვავებამდე მივყავართ, რამდენადაც ერთი ქვეყნის სარგებელს უეჭველად სხვებისათვის ზარალი მოაქვს.

მითითებული წინააღმდეგობების გადაწყვეტის მცდელობა ზეეროვნული სავალუტო-საფინანსო ორგანოების მიერ ემიტირებადი ზეეროვნული მსოფლიო ფულის გამოყენებაში პოულობს გამოხატულებას. ზეეროვნული ფულის შექმნის ერთ-ერთი პირველი მცდელობა 1969 წ. **სესხების სპეციალური ფულბების** (ჩ) სისტემის - კოლექტიურად მართვადი საერთაშორისო სარეზერვო საგადასახადო საშუალების წარმოქმნაში გამოიხატა. გათვალისწინებული იყო, რომ აშშ-ს დოლარზე დაფუძნებული ოქროდევოზური სტანდარტის შემცვლელი ჩ -ი საერთაშორისო სავალუტო მექანიზმის მთავარ რგოლში გადაიზრდებოდა, თუმცა რეალურად ეს ვერ განხორციელდა. ზეეროვნული საერთაშორისო საგადასახადო საშუალებების შექმნის მცდელობის ჩავარდნა აღნიშნული ნიშის განვითარებული ქვეყნების ეროვნული ვალუტებით: აშშ დოლარით, გერმანული მარკით, ინგლისის ფუნტით, იაპონიის იენით სწრაფმა შევსებამ განაპირობა, მიუხედავად მათთვის დამახასიათებელი ყველა ნაკლოვანებებისა.

შემდგომში იყო საქონლური უზრუნველყოფის სხვადასხვა ვარიანტების საფუძველზე მსოფლიო ფულის შექმნის მცდელობა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ, არც ერთი სანედლეულო საქონელი, იქნება ეს ოქრო, ნავთობი, ნახშირი ან წიაღისეული სიმდიდრეების სხვა სახეობები, არ შეუძლია საკრედიტო ფულის ემისიის იმ რაოდენობით გადაფარვა, რომელიც მსოფლიო მეურნეობისათვის სინამდვილეში იქნება საჭირო და იგი, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო კორპორაციების მზარდი მოცულობებით, ასევე, მეორეს მხრივ, კაპიტალის ტრანსსახაზდრო გადადინების მრავალჯერადად მზარდი მასშტაბების მომსახურების მოთხოვნილებებით არის განპირობებული.

მსოფლიო ფულის კონსტრუქციის პერსპექტივის განხილვისას, საკითხი დაყენებული უნდა იქნას, უფრო, არა მოთხოვნილებების შესახებ მათი ემიტენტისადმი ან გირაოს შესაბამის ხარისხისადმი, არამედ ემისიის მექანიზმის შესახებ, რომელიც ფულადი მიმოქცევის არხებში საგადასახადო საშუალებების შემონატანების მკაცრ შესაბამისობას, საერთაშორისო ბრუნვის

მოთხოვნილებებს უზრუნველყოფდა. მოცემული შესაბამისობა, ჩვენი მოსაზრებით, შეიძლება მხოლოდ საემისიო დაწესებულების განსაკუთრებული სტატუსის საფუძველზე იქნას მოღწეული: ემიტენტი არ უნდა იყოს დაინტერესებული საემისიო საქმიანობიდან არც შემოსავლის მიღებაში, არც ერთი ან რამდენიმე ქვეყნის სარგებლიანობისადმი ქმედებების განხორციელებაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საემისიო დაწესებულების ასეთი სტატუსი მსოფლიო მეურნეობის ლიდერებსა და დანარჩენი ქვეყნებს შორის ინტერესების კონფლიქტის წარმომშობიცაა. განვითარებული ქვეყნებისათვის მსოფლიო ფულის შესახებ საკითხის გადაწყვეტა - არის საკუთარი ბანკოტების გასაღების ბაზრის და ანგარიშების მიხედვით ჩანაწერების შეზღუდვა, აქედან გამომდინარე კი, ემისიისაგან შემოსავლის შემცირება, ან მათი მონაწილე ქვეყნებს შორის გადანაწილება. პრაქტიკულად სწორედ აღნიშნული კონფლიქტი მსოფლიო ფულადი ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით ყველა ძალისხმევის ბლოკირებას ახდენს.

ჩვენი მოსაზრებით, მსოფლიო ფულის ახალი ფორმების მოძიება ახლო მომავალში ორი მიმართულებით უნდა იქნას განხორციელებული: პირველი - ზეეროვნული ცენტრალიზირებული ფულის ფორმირების ჩარჩოებში რეგიონალური კოლექტიური ვალუტების შექმნის მცდელობა და მეორე - მსოფლიო ფულის შექმნა საერთაშორისო კერძო კვაზიფულის, პირველ რიგში ევროდევოზიტების ემისიასთან იქნება დაკავშირებული.

პირველ მიმართულებასთან დაკავშირებით ყველაზე წარმატებულ პროექტს **ერთიანი ევროპული ვალუტის (YEP)**, უფრო გვიან კი - **ევროს** ჩამოყალიბება წარმოადგენს. დღეისათვის იგი საერთაშორისო საგადასახადო საშუალების კონსტრუირების ყველაზე ამბიციური და წარმატებული პროექტია.

ერთიანი ზეეროვნული ან საერთოეროვნული ვალუტის შექმნაზე ამა თუ იმ ფორმის ამბიციები არსებობს სხვადასხვა რეგიონებშიც: **ამერო** - ჩრდილოეთ ამერიკაში (მექსიკა, კანადა, აშშ), **აფრო** - (აფრიკის ქვეყნები), **დრამი** - (ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები).

რაც შეეხება მეორე მიმართულებას კერძო საერთაშორისო ფულის - ევროდევოზიტების ემისიასთან დაკავშირებით - იგი მთლიანობაში შეესაბამება საერთაშორისო ფინანსურ მოედნებზე მათზე მოთხოვნას, ევროვალუტების ბაზარი კომპენსირებას ახდენს ოფიციალური საერთაშორისო საგადასახადო საშუალებების ძირითადი ნაკლოვანების - უზრუნველყოფის შეზღუდულობას - და წარმატებულად ავსებს

ბრუნვას საგადასახადო-საანგარიშსწორებო სახსრების საკმარისი რაოდენობით.

ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ფულის ახალი ფორმების მოძიება გრძელდება და იგი საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა იმასაც უნდა გაეცნოს ხაზი, რომ ევროვალუტები თავისთავად საერთაშორისო ფულის მხოლოდ ჩანასახის ფორმას წარმოადგენს. მათი გამოშვების მექანიზმი მთელი რიგი სისტემური ნაკლოვანებების მომცველია და, ჩვენი მოსაზრებით, მნიშვნელოვან კორექტივებს საჭიროებს იმისათვის, რომ მსოფლიო ფულის ფუნქციები წარმატებით შეასრულოს. როგორც ჩანს, ევროდენოზიტების წარმატებულად ფუნქციონირებისათვის პირველ რიგში ეროვნული კანონმდებლობის დონეზე ემისიის პროცესზე კონტროლის პროცედურებია გასათვალისწინებელი. მაგალითად, ქვეყანა-წევრებისადმი მოთხოვნილებების ჩარჩოებში ევროდოლარებისათვის შეიძლება გათვალისწინებული იქნას ეროვნულ ბაზარზე მომქმედის ანალოგიური მოთხოვნილებები, როგორებიცაა: დარეგულირება, გადასახადებით დაბეგვრა და საკრედიტო ორგანიზაციის კაპიტალთან თანაფარდობა. აღნიშნული ქმედება ევროდენოზიტებს საკრედიტო ორგანიზაციების პასივების სრულფასოვან ნაწილად გარდაქმნიდა რეჟიმით, რომელიც ეროვნულ ვალუტაში გამოხატული პასივებისათვის მომქმედი რეჟიმის ანალოგიური იქნებოდა.

რაც შეეხება მსოფლიო სავალუტო სისტემის ევოლუციის პროცესს, უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისად სახეიცვლებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა მისი ძირითადი ელემენტები:

პირველი მსოფლიო სავალუტო სისტემა (პარიზული) ოქრომონეტურ სტანდარტზე იყო დაფუძნებული და ქვეყანათაშორისი შეთანხმებით 1867 წ. იურიდიულად იქნა დამკვიდრებული პარიზში მრეწველობა განვითარებული ქვეყნების კონფერენციაზე. აღნიშნული სავალუტო სისტემისათვის ეროვნული ვალუტების ფიქსირებული ოქროს შემადგენლობა და ფიქსირებული სავალუტო კურსები იყო დამახასიათებელი. ასე, მაგალითად, 1837 წ. დილარის ოქროს შეცვლობა ოფიციალურად 31,1გრ. ოქროზე 20,672 დოლარის ოფიციალური ფასის დადგენის გზით იქნა დაფიქსირებული.

მეორე სავალუტო სისტემა (გენუეზური), რომელიც გენუეზიის საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციაზე 1922წ. გაფორმდა, ოქროდენიურ სტანდარტზე იყო დაფუძნებული. დენიის სახით ნებისმიერი ფორმით უცხოური ვალუტა გამოდიოდა. თუმცა ოფიციალურად სარეზერვო ვალუტის სტატუსი არც ერთ ვალუტაზე არ იყო დამკვიდრებული, ინგლისური

ფუნტი სტერლინგი და ამერიკული დოლარი მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ლიდერობისათვის ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ.

მესამე მსოფლიო სავალუტო სისტემა (ბრეტტონ-ვუდსისეული) სავალუტო და ფინანსების საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე ქვეყნების შეთანხმებით იქნა გაფორმებული, რომელიც ქალაქ ბრეტტონ-ვუდსში (აშშ-ს შტატი ნიუ-ჰემპშირი) 1944 წ. ივლისში შედგა და რომელზეც 44 ქვეყნიდან 730 წარმომადგენელი მონაწილეობდა. აღნიშნული სისტემა რიგ სტრუქტურულ პრინციპებზე იყო დაფუძნებული, რომელთაგან ძირითადი იყო ის, რომ აშშ-ის დოლართან მიმართებაში ოფიციალური ფიქსირებული პარიტეტი იყო გაფორმებული, რომელიც, თავის მხრივ, ოქროზე ფიქსირებული კურსის მიხედვით კონვერტირდებოდა. ამასთან, 1944წ. 1 ივლისისათვის ოქროს ოფიციალური ფასი 31,1გრ. ოქროზე 35 დოლარის დონეზე ანუ 0,88571 გრ. ოქრო 1 დოლარზე იქნა განსაზღვრული.

მეოთხე მსოფლიო სავალუტო სისტემა (იამაიკის) მსოფლიო სავალუტო სისტემის (MBΦ) ქვეყანა-წევრების შეთანხმებით 1976 წ. ქალაქ კინგსტონში იამაიკაზე იქნა გაფორმებული, რომელზეც ახალი სავალუტო-ფინანსური სისტემის ძირითადი პრინციპების ფორმირება განხორციელდა. აღნიშნული პრინციპები დღესაც აგრძელებს მოქმედებას და იგი შემდეგში მდგომარეობს: ოქროს ოფიციალური ფასის გაუქმებით ოქროს დემონეტიზაცია, ანუ მის მიერ ფულადი ფუნქციის დაკარგვა იქნა დაკანონებული, მაგრამ მიუხედავად ამისა ოქროს რეალური ფასეულობიდან გამომდინარე მასზე საგანგებო მსოფლიო ფულისა და სარეზერვო აქტივის როლი იქნა შენარჩუნებული. ფიქსირებული სავალუტო კურსის სანაცვლოდ ქვეყნები 1973 წლიდან ოფიციალურად მცურავ სავალუტო კურსების რეჟიმზე გადავიდნენ.

ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა 1979 წ. მარტში საერთაშორისო (რეგიონალური) სავალუტო სისტემის შექმნის შესახებ განაცხადეს. **ევროპული სავალუტო სისტემა (EBC)** დოლართან მიმართებაში მათი უფრო მეტი სტაბილურობის მიზნით ეროვნული ვალუტების კურსების კოორდინირებულ ცურვას ითვალისწინებდა.

ევროპული სავალუტო სისტემის - ЭКЮ-ს სტანდარტი იქნა ჩამოყალიბებული, რომლის კურსი განისაზღვრებოდა როგორც 12 დასავლეთევროპული ვალუტების საშუალოშეწონილი საშუალო კურსი.

1999 წ. 1 იანვრიდან ევროპულ სავალუტო სისტემა რეგიონალური სავალუტო სისტემის

განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა, როდესაც უნაღდო ანგარიშსწორება ევროკავშირის ქვეყნებმა ახალი ევროპული ვალუტის - ევროს საფუძველზე დაიწყეს განხორციელება.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკაში თანამედროვე ფულადი სისტემის განვითარებაში შემდეგი ტენდენციები შეიმჩნევა:

1. ფულადი ბრუნვიდან საგადასახადო საშუალების სახით ოქრო (ოქროს ფული) მთლიანად არის გამოდევნილი. სხვა სიტყვებით, ოქროს დემონეტის პოპულარობა დასრულდა.

2. ფულადი ბრუნვიდან თანდათან ქაღალდის ფულიც იდევნება. მრავალი ქვეყნის ფულად ბრუნვაში სულ უფრო დიდი როლის შესრულებას იწყებენ ე. წ. კვაზიფულები: ჩეკები, თამასუქები, საკრედიტო ბარათები, საბანკო ანგარიშები და სხვა.

3. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაძლიერებით, კომპიუტერიზაციის განვითარებით ფულადი ბრუნვიდან ეროვნული ფულადი ერთეულები კოლექტიური ვალუტების მიერ (ევრო) სულ უფრო გამოიკლება.

4. ფულად ბრუნვაში ელექტრონულ ფულს სულ უფრო და უფრო მეტი როლი ეთმობა. ელექტრონულ ფულს, მათ გავრცელებას მსოფლიოში მეტი უპირატესობა ენიჭება. უპირველეს

ყოვლისა, აღნიშნულს რესურსების უდიდეს ეკონომიკაზე მიყვარათ (გამოირიცხება ფულის დაბეჭვდა, მათი დაცვა, ტრანსპორტირება და ა.შ.). მეორეს მხრივ, ელექტრონული ფულის დანერგვა ფულადი ურთიერთობების დეკრიმინალიზაციას უწყობს ხელს (ელექტრონული ფული ყოველთვის გამოდის როგორც სახელობითი ფული). მესამე, ელექტრონული ფულის გავრცელება შესაძლებლობას იძლევა განხორციელებული იქნას ტოტალური კონტროლი ყველა ფულად ოპერაციებზე.

5. თანამედროვე პირობებში მონეტარიაში უკვე ეკონომიკის განვითარების კეისიანური კონცეფციის სრულ ანტიპოდს არ წარმოადგენს. დღეს არსებობს გარკვეული კეისიანურ-ნეოკლასიკური სინთეზი - დამოუკიდებელი თეორიული მოდელი, რომელშიც ორივე ეკონომიკური თეორიის ელემენტებია აკუმულირებული.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით და გამოდინარე იქედან, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულად მასსასა და ეკონომიკური აქტიურობის დონეს შორის უფრო მჭიდრო კავშირი არსებობს, ეკონომისტების უმეტესობა თანხმდება იმაში, რომ ზოგადად ფული და კონკრეტულად მსოფლიო ფული სერიოზულ უნივერსალურ აგრეგატს წარმოადგენს და იგი შემდგომ კვლევას, შესწავლასა და სრულყოფას საჭიროებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Навой А.В.- Центральный банк в глобальном хозяйстве. – Москва: ГОУ ВПО «РЕУ им.Плеханова», 2010. – 528 с.
2. Роджер Лорей Миллер, Давид Д. Ван-Хуз. – Современные деньги и банковское дело: Пер. с англ. – Москва: ИНФРА-М, 2000. – 856 с.

ЭТАПЫ ЭВОЛЮЦИИ МИРОВОЙ ВАЛЮТНОЙ СИСТЕМЫ И ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ

**ЦААВА Г.Ф. – Профессор ГТУ
КОГУАШВИЛИ Л. - Магистрант
ШОНИЯ К. - специалист**

Вопросы связанные с теоретическим осмыслением закономерностей обращения платежных средств в функции **мировых денег** остаются важным камнем преткновения теории международных валютных отношений и в современных условиях они требуют дополнительного изучения и исследования.

STAGES OF EVOLUTION OF THE GLOBAL MONETARY SYSTEM AND TRENDS

**TSAAVA G. - Professor of GTU
KOGUASHVILI L. - Master
SHONIA K. - The invited specialist of Akaki Tsereteli State University**

Issues related to the theoretical understanding treatment patterns of means of payment in the function of world money remains an important stumbling block of the theory of international monetary relations and the current conditions they require further study and research.